# პროექტის “ნულოვანი ნარჩენების სტრატეგია კარგი გარემო სტატუსისთვის-BSB257” ყოველთვიური ელ.ბიულეტენი

ელ.ბიულეტენი No:14

საერთო საზღვრები. საერთო გადაწყვეტილებები

” პროექტი დაფინანსებულია ერთობლივი ოპერაციული პროგრამის შავი ზღვის აუზი 2014-2020’’ პირველი კონკურსის ფარგლებში

## “ნულოვანი ნარჩენების სტრატეგია კარგი გარემო სტატუსისთვის(ZEWSGES)” პროექტის გუნდი გულითადად გილოცავთ შავი ზღვის დღეს!





პროექტის გუნდი სიხარულით ულოცავს შავი ზღვის დღეს შავი ზღვის რეგიონში მცხოვრებ ყველა ადამიანს. 31 ოქტომებრს აღინიშნება **შავი ზღვის საერთაშორისო** დღე. 1996 წლის 31 ოქტომბერს შავი ღვის აუზის 6 ქვეყნის მიერ- თურქეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, საქართველო, უკრაინა და რუსეთი, ხელი მოეწერა შავი ზღვის სტრატეგიულ სამოქმედო გეგმას რეაბილიტაციისა და დაცვისთვის. გეგმა მოიცავს პრაქტიკულ ზომებს შავი ზღვის აღდგენისა და შენარჩუნებისთვის.

**შავი ზღვის** ქვეყნების მთავრობები თანხმდებიან რომ ჩვენი საერთო ზღვის დაბინძურება თითოეული მოსაზღვრე ქვეყნისთვის მნიშვნელოვან რისკებს ქმნის.

ღრმად ვართ დარწმუნებულები, რომ ჩვენი ერთობლივი ძალისხმევა საჭირო და ეფექტიანია შავი ზღვის აღდგენისთვის. ამ კუთხით, ყველა ჩართულ მხარეს ვუსურვებთ შემოქმედებით მიდგომას ZEWSGES პროექტის განხორციელების პროცესში და გულწრფელად ამაყები ვართ ერთობლივად გაწეული სამუშაოთი.



ZEWSGES პროექტის გუნდი და სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს ოდესის სანაპიროს დასუფთავების აქციაში 2019 წლის სექტემბერი, ოდესა, უკრაინა.

## საზღვაო უსაფრთხოებისა და გადაუდებელი ინტერვენციის ეროვნულ ცენტრში (UDEM) გამართულ ცერემონიალზე პროექტი ოფიციალურად წარედგინა ტრანსპორტისა და ინფრასტურქტურის მინისტრს, ქ.მარმარაერეგლისი, ტეკირდაგში.



აღნიშნულ გახსნით ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს: ტრანსპორტისა და ინფრასტურქტურის მინისტრმა , მეჰმეთ ჩაჰიტ თურჰანმა, მინისტრის მოადგილემ, ომერ ფატიჰ საიანმა, ტეკირდაგის გუბერნატორმა აზიზ ილდიმირმა, TNKU-ს რექტორმა, პროფ.მუმინ საჰინმა, ქ.მარმარაერეგლისის რაიონის გუბერნატორმა სიდკი ზეჰინმა, ქ.მარმარაერეგლისის მერმა



ჰიკმეტ ატამ, ZESGWES პროექტის საზღვაო გარემოს კოორდინატორმა, TNKU უნივერსისტეტის კორლუს ინჟინირების ფაკულტეტის დეკანმ, პროფ. ლოკმან ჰაკან ტეკერმა და პროტოკოლის სხვა არაერთმა წევრმა.

საზღვაო და გადაუდებელი რეაგირების ეროვნული ცენტრი, შესაძლებელს გახდის საზღვაო დაბინძურების კუთხით ინტერვენციას როგორც ეროვნულ ასევე საერთაშორისო დონეზე, სამსახური ასევე მოახდენს დასუფთავების ღონისძიებების კოორდინაციას.
უმასპინძლებს ეროვნულ და სერთაშორისო ტრენინგებს, სემინარებს, შეხვედრებს საზღვაო უსაფრთხოების და გარემოს დაბინძურების საკითხებზე. UDEM-ი ასევე იქნება როგორც ტრენინგ ცენტრი, ასევე ტესტირებისა და სერთიფიცირების ცენტრი საზღვაო დაბინძურების ინტერვენციის საკითხებზე აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვის და შვი ზღვის რეგიონებისათვის. ცენტრის მიზანია ტრანსპორტირებისა და საზღვაო კატასტროფებისა და შემთხვევების ეფექტიანი და დაუყონებლივი ინტერვენციის

უზრუნველყოფა შესაბამისი აღჭურვილობის გამოყენებით.

გახსნით ცერემონიალზე ZESGWES პროექტის საზღვაო გარემოს კოორდინატორმა, TNKU უნივერსისტეტის კორლუს ინჟინირების ფაკულტეტის დეკანმა და პროფ. ლოკმან ჰაკან ტეკერმა ღონისძიების დამსწრეებს პროექტი წარუდგინეს. პროფესორმა ტეკერმა მოკლედ ისაუბრა პროექტის მიზნებზე, შედეგებსა და საზღვაო დაბინძურების მონიტორინგზე, ასევე სანაპირო დასუფთავების აქტივობებსა და ეკოსისტემის შესახებ საგანმანათლებლო პროგრამაზე.






ფოტოები საზღვაო უსაფრთხოებისა და გადაუდებელი ინტერვენციის ეროვნულ ცენტრში (UDEM) გამართული ცერემონიალიდან.

# პროექტის "ნულოვანი ნარჩენების სტრატეგია კარგი გარემო სტატუსისთვის-BSB257" ყოველთვიური ელ.ბიულეტენი

ელ.ბიულეტენი No:14

საერთო საზღვრები. საერთო გადაწყვეტილებები

" პროექტი დაფინანსებულია ერთობლივი ოპერაციული პროგრამის შავი ზღვის აუზი 2014-2020" პირველი კონკურსის ფარგლებში

ერთობლივი ოპერაციული პროგრამა შავი ზღვის აუზი 2014-2020
მასალის რედაქტირება: ნამიკ ქემალის უნივერსიტეტი
გამოქვეყნების თარიღი: 15 ნოემბერი, 2019 წ.
ერთობლივი ოპერაციული პროგრამა ,,შავი ზღვის აუზი 2014-2020" თანადაფინანსებულია ევროკავშირს მიერ ევროპული სამეზობლო ინსტრუმენტის ფარგლებში და ასევე მისი მონაწილე ქვეყნების მიერ: სომხეთი, ბულგარეთი, საქართველო, საბერძნეთი, მოლდოვა, რუმინეთი, თურქეთი და უკრაინა. ეს პუბლიკაცია მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური დახმარების ფარგლებში. პუბლიკაციის შინაარსი წარმოადგენს მხოლოდდამხოლოდ ნამიქ ქემალის უნივერსიტეტის პასუხისმგებლობას და არ გამოხატავს ევროკავშირის შეხედულებებს.

Project funded by
EUROPEAN UNION

ZEWSGES

Black Sea
CROSS BORDER COOPERATION

CROSS BORDER COOPERATION